შრომითი ხელშეკრულება N05

ქ. ამბროლაური 01 აპრილი, 2022 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში – საკრებულო), წარმოდგენილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **ასლან საგანელიძის** სახით (პირადი N04001003275, მისამართი - ქ. ამბროლაური, ნ. ბარათაშვილის ქუჩა III ჩიხი, N6 (შემდგომში დამსაქმებელი) და მეორე მხრივ, **გიორგი ლაიშვილის** (პირადი N04001000781, მისამართი - ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N52), შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (შემდგომში – ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის უფლებამოსილების განხორციელება, მუნიციპალიტეტის მერიასთან ურთიერთობის საკითხებში.

მუხლი 2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ფუნქციები

ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) თავმჯდომარის სამუშაო პროცესის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული ხელმეწყობა;

ბ) საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერს/ მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მაკოორდინირებელი ფუნქციის შესრულება;

გ) კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობებია:

ა) ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და გაუფრთხილდეს მას;

ბ) სამსახურებრივი უფლებამოსილება განახორციელოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) სამუშაო დრო გამოიყენოს ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

დ) დაიცვას შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი;

ე) შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად და ხარისხიანად;

ვ) დისციპლინური წარმოების საკითხები ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით;

2. დამსაქმებელის უფლებები და მოვალეობებია:

ა) შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული სამუშაოს შესრულების შესახებ;

გ) გაგზავნოს ხელშეკრულების დასაქმებული პირი მივლინებაში ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 01 (პირველი) აპრილიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 (ოცდათერთმეტი) მარტის ჩათვლით.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველთვიურად - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო ხანგრძლივობა დღეში განისაზღვრება 09 (ცხრა) საათიდან 18 (თვრამეტ) საათამდე, დასვენების დრო 13 (ცამეტი) საათიდან 14 (თოთხმეტ) საათამდე.

2. უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლა;

ბ) ხელშეკრულების მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

გ) თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივა.

ე) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 47-მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 8. დავის სამართლებრივი გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

2. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობით - ახალი ხელშეკრულების დამატების სახით.

3. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამსაქმებელი:	ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: